

თემატური გეგმა

კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია 1

1. ორთოპედიული პაციენტის გამოკვლევის სუბიექტური და ობიექტური მეთოდები. კბილის გვირგვინოვანი ნაწილის დეფექტების კლინიკური სურათი და პროთეზირება. კბილის დეფექტების პროთეზირება ჩანართებით. დამზადების ჩვენებები და უკუჩვენებები. კლინიკური ეტაპები. კბილების პროთეზირება ხელოვნური გვირგვინებით. ლითონის ჩამოსხმული გვირგვინების დამზადების ჩვენებები და უკუჩვენებები. დამზადების კლინიკური ეტაპები. პლასტმასის ხელოვნური გვირგვინების დამზადების ჩვენებები და უკუჩვენებები. დამზადების კლინიკური ეტაპები. ფაიფურის და მეტალოკერამიკის გვირგვინები. დამზადების ჩვენებები და უკუჩვენებები. დამზადების კლინიკური ეტაპები. წვირიანი კბილები. მათი სახეები. დამზადების ჩვენებები და უკუჩვენებები. დამზადების კლინიკური ეტაპები. შეცდომები ხელოვნური გვირგვინების დამზადების დროს და მათი თავიდან აცილების გზები.

2. კლინიკური სურათი და პირის ღრუს მომზადება პროთეზირებისათვის ნაწილობრივი ადენტიის დროს. პროთეზირება კბილთა რკალის დეფექტების დროს. ხიდისებრი პროთეზების დამზადების ჩვენებები და უკუჩვენებები. საყრდენი კბილების შერჩევა ხიდისებრი პროთეზების დასამზადებლად. ლითონის ხიდისებრი პროთეზების დამზადების კლინიკური ეტაპები. პლასტმასის ხიდისებრი პროთეზების დამზადების კლინიკური ეტაპები. მეტალოკერამიკის ხიდისებრი პროთეზების დამზადების კლინიკური ეტაპები. CAD/CAM ტექნოლოგიით დამზადებული უმეტალო კერამიკული კონსტრუქციები და მეტალოკერამიკის გვირგვინები. ძვალშიდა იმპლანტების გამოყენება ხიდისებრი პროთეზების საფიქსაციოდ. შეცდომები ხიდისებრი პროთეზების დამზადების დროს და მათი თავიდან აცილების გზები.

3. ნაწილობრივი ადენტიის მკურნალობა მოსახსნელი პროთეზებით. ნაწილობრივი მოსახსნელი პროთეზების დამზადების ჩვენებები და უკუჩვენებები. ნაწილობრივი მოსახსნელი პროთეზების დამზადების კლინიკური ეტაპები. ბიუგელისებრი პროთეზები. მისი შემადგენელი ნაწილები. ნეი-ს სისტემის კლამერები. პარალელომეტრია და მისი გამოყენება ბიუგელისებრი პროთეზების კლამერების კონსტრუქციის დროს. ბიუგელისებრი პროთეზების დამზადების კლინიკური ეტაპები. შეცდომები ბიუგელისებრი პროთეზების დამზადების დროს და მისი თავიდან აცილების გზები. ადაპტაცია მოსახსნელ პროთეზებთან. ადაპტაციის ფაზები. პარის ღრუს ჰიგიენა მოსახსნელი პროთეზების გამოყენების დროს.

კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია -2

1. სრული ადენტიის კლინიკური სურათი. “მოხუცებულობითი პროგენია“. უკბილო ზედა და ქვედა ყბის ტოპოგრაფიული თავისებურებანი. უკბილო ზედა და ქვედა ყბის მფარავი ლორწოვანი გარსის მდგომარეობის შეფასება. მთლიანი მოსახსნელი პროთეზების ფიქსაციის მეთოდები. მთლიანი მოსახსნელი პროთეზების დამზადების კლინიკური ეტაპები: ანაბეჭდის აღების თავისებურებანი უკბილო ყბების პროთეზირების დროს (ჰერბსტის სინჯები), ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრის მეთოდები უკბილო ყბების პროთეზირების დროს, კონსტრუქციის პირის ღრუში შემოწმების მნიშვნელობა, პროთეზების მორგება და ჩაბარება.

2. პაროდონტიტის ორთოპედიული მკურნალობა შერჩევითი მოქლიბვის მეთოდით. პაროდონტიტის ორთოპედიული მკურნალობა არტაშნების გამოყენებით. არტაშნების სახეები. რაციონალური პროთეზირება პაროდონტიტის დროს ბუნებრივი კბილების პათოლოგიური ცვეთის ეტიოლოგია და კლინიკური სურათი. ბუნებრივი კბილების პათოლოგიური ცვეთის ორთოპედიული მკურნალობა. სოლისებური დეფექტი და მისი ორთოპედიული მკურნალობა. ბუნებრივი კბილების ფიზიოლოგიური ცვეთა და მისი ფორმები.

3. ყბა-სახის ორთოპედიაში განოყენებული აპარატების კლასიფიკაცია. ყბების მოტეხილობათა ორთოპედიული მკურნალობა. ქვედა ყბის ცრუ სახსრის ორთოპედიული მკურნალობა. პროთეზირება „მიკროსტომიის“ დროს. ქვედა ყბის კონტრაქტურა, მისი პროფილაქტიკა და ორთოპედიული მკურნალობა. პროთეზირება ყბების რეზექციის შემდეგ. რბილი და მაგარი სასის თანდაყოლილი დეფექტების ორთოპედიული მკურნალობა (ობტურატორები). სახის დეფექტების ორთოპედიული მკურნალობა (ეგზოპროთეზები). საფეთქელ-ქვედა-ყბის დაავადებები და მისი ორთოპედიული მკურნალობა. დენტალური იმპლანტაცია და იმპლანტაციის შემდგომი პროთეზირება .